

ბიზნეს-ინჟინერინგი საბანკო საქმეში

ფულის და ფინანსების კავშირების ურთიერთკავშირის საღიხსნომო პრობლემები

გიორგი ცაავა, პროფესორი
ლია კურახჩიშვილი, დოქტორანტი

რეზიუმე

მოცემულ სტატიაში გამოკვლეულია „ფულისა“ და „ფინანსების“ კატეგორიების წარმოშობა, მათი ურთიერთკავშირებისა და ურთიერთქმედებების თავისებურებები ეკონომიკური მეცნიერებისა და საბაზრო ურთიერთობების განვითარების თანამედროვე ეტაპზე. განხილულია კატეგორია „ფინანსები“, „ფინანსური ბაზარი“, „ფინანსური ინსტიტუტები“, „ფინანსური შუამავლობა და ფინანსური შუამავლები“, „ფინანსური ინსტრუმენტები“. ჭ საბაზრო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური ურთიერთობების სისტემის წარმომქმნელი კატეგორიებს შორის განსაკუთრებული ადგილი ფულს და ფინანსებს ეკუთვნის. პრაქტიკულად დადასტურებულია: შუძლებელია ფულადი ბრუნვის დარეგულირების გარეშე სახელმწიფოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიღწევა. ასევე პირიქით, თუ სახელმწიფო საკუთარ შემოსავლებსა და ხარჯებს არ დააბალანსებს, აღნიშნული ფულადი ბრუნვის დარღვევამდე მიგვიყვანს. ამიტომ ეკონომიკური მეცნიერებისა და საბაზრო ურთიერთობების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება იმით, რომ ტერმინი „საფინანსო-ფულადი ურთიერთობები“ ყველაზე უფრო გავრცელებული გახდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფულსა და ფინანსებს შორის დიალექტიკური კავშირი აშკარაა, რის გამოც აღნიშნული ორი კატეგორიის ურთიერთკავშირის დასაბუთების პრობლემის გადაწყვეტას მიძღვნილი კვლევები მეტად აქტუალურად გვესახება. ამრიგად, ფინანსები განხილული უნდა იქნას როგორც ფულადი ურთიერთობები, რომლებიც მთლიანი შიდა პროდუქტისა (მშპ) და, გარკვეულ შემთხვევებში, - ყველა ეკონომიკური აგენტების (სახელმწიფოს, მეურნე სუბიექტებისა და კერძო მესაკუთრეების) ფულადი შემოსავლების ფორმირებითა და მათი დანაზოგების გამოყენებით განპირობებული სახელმწიფოს ეროვნული ბუნებრივ სიმდიდრის ნაწილის ღირებულების გაცვლის, განწილებისა და გადანაწილების პროცესში წარმოიშობიან. ამგვარად, ფულისა და ფინანსების გენეზისის განხილვით და მათი მჭიდრო ურთიერთკავშირების განსაზღვრით, ასევე კატეგორია ფინანსების განსაზღვრისადმი სხვადასხვა მიდგომების კრიტიკული ანალიზის განხორციელებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მისი განსაზღვრა როგორც ფულისაგან წარმოებულის სახით იქნას გაკეთებული.

საკვანძო სიტყვები: ფული, ფინანსები, ფინანსური ბაზარი, მთლიანი შიდაპროდუქტისა (მშპ), ფინანსური შუამავალი, ფინანსური ინსტრუმენტები

Debatable problems of the relations between the
“Money” and “Finance” categories

Lia kurakhchishvili, Doctoral Student
Tsaava George, GTU Professor

Summary

The article considers the origins of “money” and “finance” categories, the characteristics of their relationships and interactions at the economical science and market relations development modern stage. The article discusses the categories such as: “Finance”, “Finance market”, “Financial institutions”, “Financial intermediation and financial intermediaries”, “Financial instruments”.

Money and finance are the most important categories among the economic relations system generating categories at the modern stage of market economy development. As the practice proves country financial condition improvement is impossible without the monetary process regulations, and on the contrary, this monetary process will be violated in case the government does not balance its revenues and costs. Therefore the term “Financial and monetary relations” has become widespread in modern economical science and market relations and there is obvious dialectical connection between money and finance. Thus the study of the issues regarding the validity of these two categories relations is quite actual.

The finance should be considered as monetary relations that are generated within Gross Domestic Product (GDP) and in certain cases, in the process of formation of all economic agents (state, economic entities and private owners) cash incomes and their savings that stipulate state national natural wealth costs (part of it) exchange, distribution and redistribution processes. Therefore, reviewing the genesis of money and finance and defining their deep relationships as well as on the basis of critical analysis of various approaches of finance definition we consider the finance as derived from the money.

Keywords: Money, Finance, Financial market, Gross Domestic Product (GDP), Financial intermediary, Financial instruments

მკვლევართა უმეტესობა „ფინანსების“ ცნების ისტორიულ ასპექტში განხილვისას მიიჩნევს, რომ ფინანსები სახელმწიფოსთან ერთად წარმოიშვა და სახელმწიფოებრივი მოწყობისა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების, ასევე სახელმწიფოზე საზოგადოების მიერ დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების განვითარებისა და სრულყოფასთან ერთად იცვლებოდა. წარმოადგენს რა ისტორიულ კატეგორიას, ფინანსები ეკონომიკისა და საზოგადოების გარდაქმნისა, განვითარების შესაბამისად ცვლილებებს განიცდის.

საბაზრო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური ურთიერთობების სისტემის წარმომქმნელი კატეგორიების გარკვეული იერარქია არსებობს, ისეთები, როგორიცაა საქონელი, ფული, ფინანსები, კრედიტი, გადასახადი, ფასი, მოგება, რენტაბელობა და სხვები, თითოეულ მათგანს ქვეყნის სამეურნეო მექანიზმში შედარებით დამოუკიდებლად ფუნქციონირება შეუძლია. თუმცა მათ შორის განსაკუთრებული ადგილი ფულს და ფინანსებს ეკუთვნის, პრაქტიკულად დადასტურებულია: შეუძლებელია ფულადი ბრუნვის დარეგულირების გარეშე სახელმწიფოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიღწევა. ასევე პირიქით, თუ სახელმწიფო საკუთარ შემოსავლებსა და ხარჯებს არ დააბალანსებს, აღნიშნული ფულადი ბრუნვის დარღვევამდე მიგვიყვანს. ამიტომ ეკონომიკური მეცნიერებისა და საბაზრო ურთიერთობების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება იმით, რომ ტერმინი „საფინანსო-ფულადი ურთიერთობები“ ყველაზე უფრო გავრცელებული გახდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფულსა და ფინანსებს შორის დიალექტიკური კავშირი აშკარაა, რის გამოც აღნიშნული ორი კატეგორიის ურთიერთკავშირის დასაბუთების პრობლემის გადაწყვეტას მიძღვნილი კვლევები მეტად აქტუალურად გვესახება.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მრავალი ნაშრომი გამოქვეყნდა, სადაც „ფულის“ და „ფინანსების“ კატეგორიების კლასიკური განმარტებები და მათი ურთიერთკავშირის სადისკუსიო პრობლემებია განხილული. სამეცნიერო ლიტერატურაში თანამედროვე პირობებში ფულისა და ფინანსების არსთან მიმართებაში მათი ურთიერთკავშირის გათვალისწინებით ერთიანი მოსაზრება არ არის ჩამოყალიბებული, რაც აღნიშნულ სფეროში შემდგომი სამეცნიერო კვლევების ჩატარებას საჭიროებს. ფულისა და ფინანსების კატეგორიის შესწავლა მათ შორის განსაკუთრებული სისტემის არსებობის შესახებ მოწმობს, რასაც ხშირად მათ გაიგივებამდე მივყავართ. სტატიის დამუშავებისას ჩვენს მიერ გამოყენებული იყო ო.ი. ლავრუშინის ნაშრომი „ფული, კრედიტები, ბანკები“ (მოსკოვი, 2007), სადაც განხილულია ფინანსების ძირითადი თვისებები და მახასიათებლები. წარმოების, ვაჭრობის, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების წარმოქმნა, ფინანსური ბაზრების, ფინანსური შუამავლებისა და ფინანსური ინსტიტუტების წარმოშობა-განვითარება არის მოცემული ა.გ. გრიაზნოვის ნაშრომ-

ში „ფინანსები“ (მოსკოვი, 2011). ლ.ა. დრობოზინის ნაშრომში „ფინანსები, ფულადი ურთიერთობები“ კარგად არის დასაბუთებული აზრი, რომ ფინანსები წარმოშობილია ფულადი ურთიერთობების განვითარების შედეგად, ტერმინმა „ფინანსებმა“ საერთაშორისო გავრცელება მიიღო ერთი მხრივ მოსახლეობასა და მეორე სუბიექტებს და მეორეს მხრივ სახელმწიფოს შორის ფულადი სახსრების ფონდების წარმოშობასა და გამოყენებასთან მიმართებაში.

„ფულის“ და „ფინანსების“ ურთიერთკავშირი

განვიხილოთ ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები:

ფინანსური ბაზარი - არის კრედიტორებსა და მსესხებლებს შორის მოთხოვნისა და მიწოდების საფუძველზე შუამავლების დახმარებით კაპიტალის გადანაწილების მექანიზმი. პრაქტიკაში იგი თავისთავად საკრედიტო ორგანიზაციების (საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების) ერთობლიობას წარმოადგენს, რომლებიც ფულადი სახსრების ნაკადს მესაკუთრეებისაგან მსესხებლებისაკენ და უკან მიმართავენ. აღნიშნული ბაზრის მთავარი ფუნქცია უმოქმედო ფულადი სახსრების სასესხო კაპიტალში ტრანსფორმაციაში მდგომარეობს. ფინანსური სისტემის მიერ განხორციელებადი ფულადი სახსრების აკუმულირებისა და განთავსების პროცესი უშუალოდ ფინანსური ბაზრების ფუნქციონირებასთან და ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობასთან არის დაკავშირებული. თუ ფინანსური ინსტიტუტების ამოცანას სახსრების მესაკუთრეებისაგან მსესხებლებამდე ყველაზე ეფექტიანად გადაადგილება წარმოადგენს, მაშინ ფინანსური ბაზრების ამოცანა ფინანსური რესურსების მყიდველებსა და გამყიდველებს შორის ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით ვაჭრობის ორგანიზაციაში მდგომარეობს. ფინანსური ბაზარი რიგი სეგმენტებისაგან შედგება, როგორებიცაა: ინვესტიციური, საკრედიტო, საფონდო, სადაზღვეო, სავალუტო.

ფინანსური შუამავალი - არის ინსტიტუტი, რომელიც კრედიტორებისაგან სახსრების სესხებითა და მათი მსესხებლებისათვის მიწოდებით, კრედიტორებსა და მსესხებლებს შორის კავშირს ახორციელებს. ფინანსური შუამავლების მიერ აკუმულირებადი და გამოყენებადი სახსრების მოცულობას მნიშვნელოვნად აჭარბებს სხვა სექტორების მეშვეობით გატარებული მოცულობები. თვით ფინანსურ ინსტიტუტებს შორის ფინანსური შუამავლები არსებობენ, მაგალითად სააღრიცხვო სახლები ინგლისში, რომლებიც როგორც ინსტიტუტები წარმოიშვნენ, და საბაზინო თამასუქების განთავსებას ახორციელებენ, ანუ კომერციულ ბანკებსა და ცენტრალურ ბანკს შორის შუამავლების როლს ასრულებენ. რიგი ფინანსური ინსტიტუტები, კერძოდ ლიზინგური, ფაქტორინგული კომპანიები, ფინანსური სახლები, საკუთარი ფონდების უმეტეს ნაწილს სხვა ფინანსური ინსტიტუტებისაგან მოსესხების სახით ღებულობენ.

ფინანსური ინსტრუმენტები - არის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისობაში დოკუმენტალურად გაფორმებული ეკონომიკური სუბიექტების ფულადი ვალდებულებები. თანამედროვე პირობებში განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებში სხვადასხვა ფინანსური შუამავლების შერწყმისაყენ, აგრეთვე მათი ოპერაციების დივერსიფიკაციისაყენ ტენდენცია მკაფიოდ არის გამოხატული. ფინანსური შუამავლობის განვითარება თავისებური ეკონომიკური მოვლენის - ფინანსური ინსტრუმენტების წარმოშობას უწყობდა ხელს, რომელთაც მიეკუთვნებიან:

- თამასუქები;
- ჩეკები;
- სავალო ხელწერილები;
- აქციები;
- ობლიგაციები;
- საგადახდო ბარათები;
- გირავნობის საბუთები;
- სადაზღვევო პოლისები;
- სერთიფიკატები;

•სხვადასხვა მონშობები, რომლებიც ფულადი შემოსავლისა და სხვა შემონატანების მიღებაზე უფლებას იძლევიან.

საბაზრო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური ურთიერთობების სისტემის წარმომქმნელი კატეგორიების გარკვეული იერარქია არსებობს, ისეთები, როგორიცაა საქონელი, ფული, ფინანსები, კრედიტი, გადასახადი, ფასი, მოგება, რენტაბელობა და სხვები, თითოეულ მათგანს ქვეყნის სამეურნეო მექანიზმში შედარებით დამოუკიდებლად ფუნქციონირება შეუძლია. თუმცა მათ შორის განსაკუთრებული ადგილი ფულს და ფინანსებს ეკუთვნის, პრაქტიკულადაა დადასტურებული: შუძლებელია ფულადი ბრუნვის დარეგულირების გარეშე სახელმწიფოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიღწევა. ასევე პირიქით, თუ სახელმწიფო საკუთარ შემოსავლებსა და ხარჯებს არ დააბალანსებს, აღნიშნული ფულადი ბრუნვის დარღვევამდე მიგვიყვანს. ამიტომ ეკონომიკური მეცნიერებისა და საბაზრო ურთიერთობების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება იმით, რომ ტერმინი „საფინანსო-ფულადი ურთიერთობები“ ყველაზე უფრო გავრცელებული გახდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფულსა და ფინანსებს შორის დიალექტიკური კავშირი აშკარაა, რის გამოც აღნიშნული ორი კატეგორიის ურთიერთკავშირის დასაბუთების პრობლემის გადაწყვეტას მიძღვნილი კვლევები მეტად აქტუალურად გვესახება.

ჩატარებულმა ანალიზმა დაგვანახა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში თანამედროვე პირობებში ფულისა და ფინანსების არსთან მიმართებაში მათი ურთიერთკავშირის გათვალისწინებით ერთიანი მოსაზრება არ არის ჩამოყალიბებული, რაც აღნიშნულ სფეროში შემდგომი სამეცნიერო კვლევების ჩატარებას საჭიროებს. ფულისა და ფინანსების კატეგორიის შესწავლა მათ შორის განსაკუთრებული სისტემის არსებობის შესახებ მონშობს, რასაც ხშირად მათ გაიგივებამდე მიგყავართ. ასე მაგალითად,

ფინანსები არც ისე იშვიათად (განსაკუთრებით საყოფაცხოვრებო დონეზე) იურიდიული და ფიზიკური პირების განკარგულებაში არსებულ გარკვეულ ფულად თანხას განსაზღვრავენ. უეჭველია, ასეთ თვალსაზრისს არსებობის უფლება გააჩნია.

გარდა ამისა, აღიარებულია ის ფაქტი, რომ ფინანსების საფუძველში ფულადი ურთიერთობები დევს, მაგრამ ამასთან საჭიროა აღინიშნოს, რომ გარკვეული ფულადი თანხის არსებობა ჯერ კიდევ მათი როგორც ფინანსების სახით კვალიფიცირების შესაძლებლობას არ იძლევა. შეიძლება გქონდეთ ფული, მაგრამ ამავე დროს ფინანსებთან არანაირი ურთიერთობები არ გააჩნდეთ. ნატურალურ მეურნეობაში, სადაც წარმოებული პროდუქტი ნატურალურ ფორმაში იცვლება და ნაწილდება. ანუ ფინანსები ფულადი ურთიერთობების განვითარების შედეგად არის წარმოშობილი, რაც აღნიშნული ორი კატეგორიის გენეზისით დასტურდება.

თუ ფულის წარმოშობის ისტორიას მივმართავთ, შეიძლება გავიხსენოთ, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფულის სახით „ფულადი მასალისაგან დამზადებული მეტად მრავალფეროვანი საგნები გამოიყენებოდა. გარდა ამისა ფულის აღნიშნული ფორმების მიმოქცევისა და გამოყენების ხერხებს შორის საკმაოდ დიდი განსხვავებები არსებობდა, რასაც თავისთავად ფულადი მასის აღრიცხვაში განსხვავებები მოყვებოდა და ფულის ერთი ფორმის სხვებში გადაყვანისას სერიოზული შეზღუდვები გროვდებოდა. საზოგადოებრივი ურთიერთობების შემდგომმა განვითარებამ, ხოლო მათ საფუძველზე - ეკონომიკურების სრულყოფამ, ფულის ევოლუციამდე „სასაქონლო-ექვივალენტურებიდან“ (ბარტერული ვაჭრობა) ელექტრონულობამდე მიგვიყვანა. თუმცა საწარმოო ძალების ევოლუციამ კანონზომიერად გაცვლით ოპერაციებში მონაწილე საქონელის რაოდენობისა და ნაირსახეობის გადიდებამდე მიგვიყვანა, რამაც განხორციელებადი საქონელგაცვლის აქტების ინტენსიურობა ავტომატიურად გაართულა და აამაღლა. აღნიშნული ყველა გარემოებების ზემოქმედება ნატურალური გაცვლის პროცესს არსებითად ართულებდა, რამაც პირველი „სასაქონლო“ ფულის წარმოშობა გამოიწვია, რომლის როლში სხვადასხვა დროს და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში გამოდიოდა - მარილი, ცერცვის მარცვალი, ბენვეული, პირუტყვი, ნიჟარები და მოცემულ ტერიტორიაზე სხვა ყველაზე უფრო „მიმოქცევადი“ (ლიკვიდური) საქონელი-შუამავლები.

დაახლოებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1000 — 500 წელს ჩინეთში ლითონური ფულის პირველი პროტოტიპები გამოჩნდნენ, რომლებიც თავისთავად შრომის საგნების სახით ლითონისაგან ფიგურებს წარმოადგენდნენ, როგორებიცაა: თოხები. ბარები, შვილდისრების წვეტები, რომელთა აქტიური გამოყენება დაიწყო საქონელის გაცვლისას (გაცვლის საშუალება გახდნენ). ითვლება, რომ ყველაზე პირველი მონეტები ჩინეთში და ლიდის სამეფოში (თანამედროვე თურქეთის ტერიტორია) ჩვ.წ. აღ.-

მდე VII საუკუნეში წარმოიშვა, ისინი იყვნენ მრგვალი მონეტები ოქროსა და ვერცხლის სხმულების სახით. ფულის განვითარების შემდეგი ეტაპი იყო ქალაქის ფულის წარმოშობა ჩინეთში ჩ. წ. აღ.-მდე VIII საუკუნეში, ხოლო 910 წელს მათი მასიური გამოშვება დაიწყო. ასეთი ფულის წარმოშობა, რომელთაც შიდა ღირებულება (როგორც სრულფასოვანი ლითონებისაგან) არ გააჩნდათ და მიმოქცევაში ოქროს ფულის შემცვლელებს წარმოადგენდნენ. ქალაქის ფულის როლს საქონელისა და ოქროს შესანახად მიღების შესახებ ხელწერილებიც ასრულებდნენ, რომლებაც შემდგომში საკრედიტო ფულის (ბანკნოტა) წარმოშობამდე მიგვიყვანა.

ევროპაში პირველი (ნამდვილი) საკრედიტო ფულის სამშობლო გახდა საფრანგეთი, სადაც 1716 წელს სამეფო ბანკი ოირველი საბანკო ბილეთების გამოშვებას შეუდგა. მსოფლიოში პირველმა უნალო ანგარიშსწორებების (საბანკო კლირინგის) სისტემამ თავისი დასაწყისი 1824 წელს აშშ-ში დაიწყო, ხოლო XX საუკუნის შუა პერიოდში (1950 წ.) ბრუნვაში Dinars Club (პირველი საკრედიტო ბარათი) იქნა გამოშვებული. მიუხედავად მისი საკმაოდ ფართე გავრცობადობისა, მხოლოდ ორი წლის შემდეგ ranklin National Bank - ის საბანკო საკრედიტო ბარათი იქნა გამოშვებული. უნდა აღინიშნოს, რომ დასაწყისიდან ქალაქის და საკრედიტო ფული ნებისმიერ მომენტში ოქროზე იყო გადაცვლადი. თუმცა შემდგომში მიმოქცევადი სასაქონლო მასის გადიდება და ერთდროულად ბუნებრივი ოქროს მარაგების შემცირებამ მიმოქცევაში გამოშვებული ქალაქის ფულის რაოდენობის არსებული ძვირფასი ლითონების მარაგთან მიმართებაში შეუსაბამობამდე მიგვიყვანა, რომლებიც ტრადიციულად ბანკნოტების ნომინალური ღირებულების უზრუნველყოფის საშუალებად გამოდიოდნენ. გარდა ამისა, ფულის ემისიის სახელმწიფოებრივი მართვის აუცილებლობამ ჯერ 1971 წ. აშშ დოლარის, ხილო შემდეგ 1976 წ. მსოფლიოს ყველა დანარჩენი ვალუტის ოფიციალურად დადგენილი ოქროთი უზრუნველყოფადობის გაუქმება განაპირობა. 1990-იანი წლების დასაწყისში „ელექტრონული ფულის“ გამოგონებამ აღნიშნული ტექნოლოგიის საფუძველზე სმარტ-ბარათების შექმნამდე მიგვიყვანა, რომელიც საბანკო ანგარიშზე ფულის რაოდენობის შესახებ ინფორმაციას მოიცავდა პერსონალური კოდით დაცულობას ითვალისწინებდა. ფულადი ტექნოლოგიების განვითარებაში შემდეგი ნაბიჯი გახდა 1998 წ. შეერთებულ შტატებში ჯაყალ სისტემის წარმოშობა, რომლის მეშვეობით კომპიუტერების მომხმარებლებს ელექტრონული გადახდების განხორციელება შეუძლიათ. ევროპაში შეიქმნა სისტემა ჯჰონეჯაიდ, რომელიც მობილური ტელეფონების მეშვეობით ფულადი გადარიცხვების განხორციელება შეუძლიათ. 1990-იანი წლების ბოლოს „ინტერნეტ-ფულის“ მრავალი სისტემა იქნა შექმნილი (მაგალითად: WebMoney, Yandex-Money, clicshare და მრავალი სხვ.).

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების

განვითარებამ და შემდგომმა ინტეგრაციამ 2002 წ. ევროპული ეკონომიკური კავშირის შემადგენლობაში შესულ სახელმწიფოებში, ერთიანი ვალუტის - ევროს (უნალო ანგარიშსწორებების განხორციელებისათვის იგი 1999 წ. გამოიყენებოდა) დამკვიდრება განხორციელდა. ისიც გვინდა ავღნიშნოთ, რომ ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურიატის რობერტ მანდელას პროგნოზის მოხედვით 2040 წელს შესაძლებელია ერთიანი მსოფლიო ვალუტა - „დეი“ შეიქმნას, რომელიც აშშ-ის, ევროკავშირისა და იაპონიის (დოლარი, ევრო, იენა) ფულადი ერთეულების გამაერთიანებელი იქნება. ამრიგად, თუ სრულფასოვანი (ოქროსი და ვერცხლის) ფული თავისთავად ფასეულობის ნიშანს (სიმბოლოს) წარმოადგენდნენ, ხოლო მათი შემცვლელი ოქროთი უზრუნველყოფილი ქალაქისა და საკრედიტო ფულის - სრულფასოვანი ფულის ნიშანს (სიმბოლოს) შეესაბამება, თანამედროვე ფული (საერთოდ ოქროთი არ უზრუნველყოფილები) - არის ფულის შემცვლელის სიმბოლური ნიშანი, რომელიც სახელმწიფოს მიერაა დადგენილი და მოსახლეობის მიერ კანონიერი საგადახდო საშუალების, მიმოქცევის საშუალებისა და სხვა საქონელის შეფასებისათვის არის მიღებადი. აღნიშნული პირველად ფინანსურ ინსტრუმენტებად (რესურსებად) გარდაქმნის მათ, რომელთა მოძრაობა სახელმწიფოსი, მეურნე სუბიექტებისა და კერძო მე-საკუთრების ფინანსური ურთიერთობების სისტემის საფუძველში დევს, სხვა სიტყვებით, აღნიშნული არის ფულის ფინანსური შემცვლელები (წარმომადგენლები), თვით ცნება „ფინანსების“ განმარტებიდან (financia-დან) როგორც სახელმწიფოს სასარგებლოდ ფულის სავალდებულო გადახდიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ფინანსები - არის სახელმწიფოს სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების არსებობის პროდუქტი.

უნდა აღინიშნოს, რომ თვით ცნება „ფინანსები“ თავისი წარმოშობის მომენტიდანვე მუდმივად ვითარდება და შემდეგი სახის დასკვნის გაკეთებაც არის შესაძლებელი, რომ ფინანსების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშანთვისებების სახით მისი გამოხატვის ფულადი ფორმა უნდა ჩაითვალოს, მაშინ როდესაც ფინანსური ურთიერთობების არსებობის როგორც შედეგი შეიძლება ფინანსური სახსრების რეალური მოძრაობა (ნაღდი და უნალო) გამოდიოდეს. აღნიშნული ფინანსებთან მიმართებაში ფულის პირველადობის მტკიცების საფუძველს იძლევა. როგორც ადრე იყო აღნიშნული, ფული - არის ფინანსების მატერიალური საფუძველი, ხოლო ფინანსები კი ყოველთვის ფულადი ურთიერთობების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით წარმოშობადი საშუალებაა, ამიტომ ფულიც ასევე ფინანსური სამართლებრივი ურთიერთობების ობიექტს წარმოადგენს. ასე მაგალითად, თანამედროვე საფინანსო-სამართლებრივ მეცნიერებაში ჭარბობს თვალსაზრისი, რომ ფინანსური ურთიერთობები ფულის მეშვეობითაა წარმოშობილი და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობებიდან წარმოებულს

წარმოადგენს, ხოლო ფულადი ურთიერთობები ფინანსურ სამართალში რეგულირების დომინანტურ სფეროს შეადგენს.

განხილვად კატეგორიებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის არსებობის გამოვლენის მიუხედავად, ფინანსური არსის განსაზღვრისას მაინც არა ყველა მეცნიერ-ეკონომისტები აკავშირებენ მას ფულად საფუძველთან. ზოგიერთი მკვლევარი ამასთან ფულადი სახსრების ყველა სახის ფონდების ფორმირების პროცესში აქცენტს ეკონომიკურ ურთიერთობებზე აკეთებენ. ჩვენი მოსაზრებით რიგი მეცნიერების ასეთი სახის თვალსაზრისი სწორს არ წარმოადგენს და, როგორც მინიმუმ, ორ სერიოზულ შენიშვნას იწვევს.

უპირველეს ყოვლისა, ფინანსების მხოლოდ როგორც ეკონომიკური ურთიერთობების სახით განმარტება არამკაფიოდ განსაზღვრავს ფინანსების მატერიალურ, უფრო ზუსტად ფულად საფუძველს, რომელიც თავის მხრივ ღირებულების და მისი სხვადასხვა ფორმების გამოყენებასთან დაკავშირებულ ყველა ურთიერთობებს გამოხატავს, და ამიტომ მათი ერთობლიობა წარმოების ეკონომიკურ მხარეს მოიცავს. ამავე დროს ფინანსები მხოლოდ ფულადი ურთიერთობების მთლიანი ერთობლიობის ნაწილს მოიცავს: იმას, რომელიც მშპ-ის ფორმირებასთან და გამოყენებასთან არის დაკავშირებული. ანუ ფინანსების ფუნქციონირებისათვის საწყის ბაზას ფულად ფორმაში ღირებულება წარმოადგენს, ამიტომ ფინანსების არსის განსაზღვრაში ფულად მიმოქცევაზე ორიენტაცია არის საჭირო.

მეორეს მხრივ, შეთავაზებული მიდგომის არამართებულება მდგომარეობს იმაში, რომ იგი ფინანსურ ურთიერთობებს უშუალოდ ფულადი სახსრების ფონდების ფორმირებისა და გამოყენების პროცესებთან აიგივებს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში აღნიშნული განმასხვავებელი ნიშანთვისება აზრს კარგავს. ზოგიერთი მკვლევარი სახელმწიფოზე როგორც ფინანსური ურთიერთობების ძირითად სუბიექტზე აკეთებს აქცენტს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს არსებობა და მათ მიერ საკუთარი ფუნქციების შესრულების აუცილებლობა ფინანსების წარმოშობის წინაპირობას ემსახურებიან და მრავალი მეცნიერ-ეკონომისტისათვის მათ განმსაზღვრელ ნიშანთვისებას წარმოადგენს. თანამედროვე პირობებში ტერმინი „ფინანსები“ თეორიაში და პრაქტიკაში ერთნაირად გამოყენებადია როგორც სახელმწიფოებრივი და ეკონომიკის კერძო სექტორის მიმართაც, კერძო მეურნეობების ჩათვლით, რამდენადაც მათ აკავშირებს საერთო გამაერთიანებელი საწყისები - თანამედროვე ფულისა და ფინანსების ერთიანობა, რომლებიც ერთმანეთს შორის როგორც შინაარსით, ასევე ფორმითაც არიან დაკავშირებული. ასე მაგალითად, თანამედროვე ფინანსების შინაარსს ფულადი ურთიერთობები წარმოადგენს, რომელიც ფულის მოძრაობის პროცესში („მუშა“ ფული) წარმოიშობა, ხოლო თანამედროვე ფული, როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, საკუთარ მოძ-

რაობას პირველადი ფინანსური რესურსის ფორმით და მისგან წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებით ახორციელებს და ამით ხელისუფლების სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და კერძო მეურნეობების ფულადი შემოსავლების ფირმირებისა და გამოყენების უწყვეტადობას უზრუნველყოფს.

დასკვნა

ამრიგად, ფინანსები განხილული უნდა იქნას როგორც ფულადი ურთიერთობები, რომლებიც მთლიანობაში დაპროექტირებულია (მშპ) და, გარკვეულ შემთხვევებში, - ყველა ეკონომიკური აგენტების (სახელმწიფოსი, მეურნე სუბიექტებისა და კერძო მესაკუთრეების) ფულადი შემოსავლების ფორმირებითა და მათი დანაზოგების გამოყენებით განპირობებული სახელმწიფოს ეროვნული ბუჯეტის სიმდიდრის წინააღმდეგობის ღირებულების გაცვლის, განაწილებისა და გადანაწილების პროცესში წარმოიშობიან.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.Деньги, кредит, банки / Под ред. О.И. Лаврушина. – Москва: КноРус, 2007. – 560 с.
- 2.Подьяблонская Л.М. – Финансы: учебник. – Москва: ЮНИТИ, 2011. – 407 с.
- 3.Финансы. Денежное обращение. Кредит / Под ред. Л.А. Дробозиной. – Москва: Финансы, ЮНИТИ, 2002. – С. 63.
- 4.Финансы: учебник для вузов / Под ред. А.Г. Грязновой, Е.В. Маркиной, М.Л. Седовой. – Москва: Финансы и статистика, 2011. – 496 с.